



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ჩუქების სამართლებრივი პრობლემები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ეკატერინე ლალიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი:

რომან შენგელია

თბილისი

2020 წელი

შინაარსი

ანოტაცია	3
Anotation	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1.1. ნორმატიულ–საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა	7
1.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი II. ჩუქების სამართლებრივი საფუძვლები.....	10
2.1. ჩუქების არსი და მნიშვნელობა	10
2.2. ჩუქების ისტორიულ–სამართლებრივი საფუძვლები	11
2.3. ჩუქების ხელშეკრულების ფორმა და მისი დაუცველობის შედეგები.....	13
2.4. ჩუქება, როგორც ხელშეკრულება.....	15
2.5. გაჩუქებული ქონების ნაკლი.....	17
2.6. შეწირულობა, როგორც პირობითი გარიგება.....	18
2.7. ჩუქების დაუშვებლობა	19
თავი III. ჩუქების გაუქმება.....	22
3.1. ჩუქების გაუქმების საფუძვლები და მისი შედეგები	22
3.2. მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, როგორც გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის საფუძველი.....	27
თავი IV. ჩუქების პროცესუალურ–სამართლებრივი პრობლემები	31
4.1. სათანადო მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისას.....	31
თავი V. ჩუქების ხელშეკრულების კავშირი სამართლის სხვა ნორმებთან (ინსტიტუტებთან).....	36
5.1. ხანდაზმულობის ვადები და ჩუქების ხელშეკრულების მოშლის სპეციალური ვადა.....	36
5.2. საკუთრების ხელშეუვალი უფლება და გაჩუქებული ქონების გამოთხოვა.....	39
თავი VI. კვლევის შედეგები.....	43
დასკვნა	46
გამოყენებული ლიტერატურა	48

ანოტაცია

ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ბევრ მოქმედებას ასრულებენ, მათ შორის ცოტა მათგანი აკვირდება ამ მოქმედების სამართლებრივ მხარეს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტი – ჩუქება სამოქალაქო სამართალში.

ნაშრომში გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა და ის სამართლებრივი პრობლემები, რაც კითხვის ნიშანს აჩენს პრაქტიკაში ჩუქებასთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დგება საკითხი რამდენად მოწესრიგებული და სრულყოფილია ქართული სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც გამჩუქებლისა და დასაჩუქრებულის ურთიერთობას აწესრიგებს.

ნაშრომში განხილულია ჩუქების სამართლებრივი ბუნება, ჩუქების ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელი ფორმა, მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის შემდგომი ურთიერთობა. დასაჩუქრებულის უმადურობა, როგორც ჩუქების გაუქმების საფუძველი, მისი პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები და, ასევე ჩუქების ხელშეკრულების კავშირი სამართლის სხვა დარგებთან. აღნიშნულ საკითხებს სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე მუხლით არეგულირებს, რაც არ არის საკმარისი ჩუქების სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისთვის. აღნიშნულ საკანონმდებლო ბაზას დახვეწა და ჰარმონიზაცია სჭირდება გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, სწორედ ჩუქების სამართლებრივ პრობლემებს და ჩუქების არსს შევეხებით ქვემოთ მოცემულ თავებში.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს შესავალს ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

Anotation

People perform too many actions in their daily lives, and few of them observe the legal side of this action. This is one of the oldest institutions in civil law.

The paper analyzes the case law and the legal issues that raise questions about the practice of giving. That is why the issue of how orderly and perfect the norms of the Georgian Civil Code, which regulate the relationship between the giver and the giver, are, is on the agenda.

The paper discusses the legal nature of gifts, the necessary form for concluding a gift contract, the further relationship between the giver and the giver. The greed of the gifted person as a basis for the abolition of gifts, its procedural–legal issues, as well as the connection of the gift agreement with other branches of law. The Civil Code regulates these issues in several articles, which is not enough to regulate the legal relationship of gifts. This legislative framework needs to be refined and harmonized with regard to the German Civil Code. Therefore, we will touch on the legal problems of gifts and the essence of gifts in the chapters below.

The paper includes an annotation an introduction to the main topic (which is divided into chapters and subsections), a conclusion, and the literature used.

შესავალი

თემის აქტუალურობა. წინამდებარე თემის არჩევა განპირობებულია მისი აქტუალობიდან გამომდინარე, ვინაიდან ჩუქება საკუთრების უფლების უსასყიდლოდ მოპოვების საშუალებაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება ეს ინსტიტუტი, მაგრამ ცოტამ თუ იცის ჩუქების ხელშეკრულების დადებით წარმომოხილი სამართლებრივი შედეგები, სწორედ ამიტომ ხშირად არის სასამართლო დავები, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რაც დასაჩუქრებულის უმადურობით არის გამოწვეული. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარეები ვერ ასაბუთებენ ხელშეკრულების დადების ფაქტს, რაც არ წარმოშობს ჩუქებასთან დაკავშირებით არანაირ სამართლებრივ შედეგებს. ჩუქების მომწესრიგებელი მხოლოდ რამდენიმე ნორმა არსებობს, რაც სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ქმნის ანალოგიის გამოყენების აუცილებლობას.

აქტუალურია საკითხი საკუთრების უფლების შეზღუდვასა და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვას შორის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვა საკუთრების უფლების შეზღუდვად აღიქმება, რაც ქვემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე არ უნდა იყოს მართებული. აღნიშნულ თემას აქტუალურობას სძენს პროცესუალური სამართლებრივ საკითხები, როგორცაა სათანადო მოსარჩელე ჩუქების გაუქმებისას, უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობა მჩუქებლის გარდაცვალებისას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქონების გამოთხოვა ხდება გამჩუქებლის ოჯახის მიმღე მატერიალური მდგომარეობის გამო. თემას საინტერესოს ხდის საკითხი ზოგად და სპეციალურ ვადებთან მიმართებით, ასევე თუ როდიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ზემოთ მოყვანილი საკითხები სრულყოფილად არ არის რეგულირებული კანონმდებლობაში, არსებულ ხარვეზებს კი პრაქტიკაში საკმაოდ დიდი დაბრკოლებები მოჰყვება. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს პრობლემების ანალიზი და შემოთავაზებული საკანონმდებლო რეკომენდაციები, რომლებიც ამ ხარვეზების გადაწყვეტას ემსახურება.

კვლევის მიზნები: წარმოაჩინოს ჩუქების სამართლებრივი ბუნება; გამოკვეთოს ის ძირითადი რეკვიზიტები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ჩუქების ხელშეკრულება; წარმოაჩინოს ჩუქებასთან დაკავშირებული საპროცესო ნორმების რეგულირების სხვადასხვა ასპექტები; გამოკვეთოს ჩუქების მარეგულირებელი ნორმების კავშირი სამართლის სხვა ნორმებთან; შეისწავლოს საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; შეისწავლოს გერმანული სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ჩუქების მარეგულირებელი ნორმები და შედარდეს ის ქართულ სამოქალაქო

კოდექსს; ჩამოყალიბდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო ნორმებთან მის ჰარმონიზაციას.

კვლევის ამოცანები: ჩუქების ხელშეკრულების ძირეული საკითხების ანალიზი; საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი; ჩუქებასთან დაკავშირებული საქართველოსა და საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმატიული აქტებისა და ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი და ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა; საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გაანალიზება; საკანონმდებლო რეკომენდაციების შემოთავაზება.

მეთოდოლოგია: თემაზე მუშაობისას, კვლევა ვაწარმოე თეორიულ და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელზედაც ლიტერატურის მიმოხილვაში მოგახსენებთ – ეს იყო სამეცნიერო და ნორმატიული ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა გამომეტანა დასკვნები. კვლევისას უშუალოდ გამოვიყენე შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული და ანალიტიკური მეთოდები. შედარება განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გაანალიზდა საერთო და განმასხვავებელი მიდგომები საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად. ძირითადად შედარების მეთოდი გამოყენებულია გერმანულ და ქართულ სამოქალაქო კოდექსის ანალიზისას. კანონმდებლობის შესწავლისას გამოყენებულ იქნა ნორმატიული კვლევის მეთოდი, რაც გამოიხატა სამოქალაქო კოდექსის ჩუქების მარეგულირებელი ნორმების კვლევისას. რაც შეეხება ისტორიულ მეთოდს ის გამოვიყენე ჩუქების, როგორც ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტის კვლევისას, როგორც ქართულ ისე რომაულ სამართალში. სხვადასხვა პრობლემური საკითხის ანალიზისას, კი გამოყენებულ იქნა კრიტიკული ანალიზის მეთოდი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ნორმატიულ–საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

ცივილური სამართლისა და ადამიანების ყოფა–ცხოვრებისთვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ჩუქების ინსტიტუტი. ჩუქების ხელშეკრულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ქართულ და გერმანულ კოდექსი ჩუქების მარეგულირებელი ნორმები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სხვადასხვა ქართული თუ უცხოური სახელმძღვანელო, სტატია, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომი თუ სასამართლო პრაქტიკა და ინტერნეტ რესურსები. ამათგან აღსანიშნავია შემდეგი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524–ე მუხლის მიხედვით, „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით“¹, მოცემულ მუხლში დაზუსტებით არ არის მოცემული ჩუქების განმარტება, უნდა მივიჩნიოდ, რომ ჩუქება არის ორმხრივი, და უსასყიდლო გარიგება, რომელიც ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის 516–ე მუხლი ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ზუსტად განსაზღვრავს რა არის ჩუქება, კერძოდ, „ქონების გადაცემა, რომლითაც ერთი პირი საკუთარი ქონების ხარჯზე ამდიდრებს სხვა პირს, არის ჩუქება, თუ ორივე მხარე თანახმაა, რომ ჩუქების გადაცემა მოხდეს უსასყიდლოდ“².

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მომდევნო მუხლები ეხება ჩუქების ხელშეკრულების დადებას, მის გაუქმებას და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვას. გერმანული კოდექსისგან განსხვავებით ქართული კოდექსი ჩუქებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობების მოწესრიგებას სულ რამდენიმე მუხლს უთმობს, რაც დეტალურად არის გაანალიზებული ნაშრომში.

კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529–ე მუხლი ჩუქების გაუქმებას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფის ან უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის მიმართ, მაგრამ აღნიშნულ უფლებას კანონი მხოლოდ გამჩუქებელს ანიჭებს „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მ. 524

² გერმანული სამოქალაქო კოდექსი, 1896, მ. 389

მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“. გერმანული სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი უშვებს ჩუქების გაუქმებას დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას. მჩუქებლის მემკვიდრეს ეკუთვნის ჩუქების გაუქმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებას.

როდესაც ვსაუბრობთ, ჩუქებაზე, როგორც საკუთრების უფლების მოპოვების ერთ-ერთ ფორმაზე და შემდეგ გაჩუქებული ნივთის გამოთხოვაზე, ლოგიკური კავშირი ჩნდება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან, რომელიც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას აღიარებს და უზრუნველყოფს მის დაცვას, მაგრამ ამ ნორმების ანალიზისას მივდივართ დასკვნამდე, რომ გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვა განპირობებულია ჩუქების უსასყიდლო ბუნებიდან გამომდინარე და მას კავშირი არ აქვს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან.

1.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ საკითხზე არსებობს სხვადასხვა მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია და ბევრი პრაქტიკოსი იურისტია დაინტერესებული აღნიშნული საკითხის შესწავლით.

პროფესორი რომან შენგელია ჩუქებასთან დაკავშირებულ ნორმებს ვრცელ კომენტარს უძღვნის და ბევრ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის კითხვისას, კერძოდ „მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც მას საკუთრების შეძენის საშუალებად აქცევს, მაგრამ, ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ჩუქებას ასეთი მიზანი არ აქვს ან საკუთრების უფლების გადასვლა მხარეთა შორის შეთანხმებას არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში ჩუქება ვალდებულებითი ურთიერთობების ნაირსახეობად მიიჩნევა. ეს მომენტი ჩუქებაში უფრო გამოკვეთილია და სწორედ ამიტომ, რომ ჩუქება არა სანივთო, არამედ ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტად იქნა მიჩნეული და მისი ადგილი სახელშეკრულებო სამართალში განისაზღვრა“. ამგვარი დასაბუთებული მსჯელობა ნათლად გვაჩვენებს ჩუქების ადგილს სამოქალაქო სამართლის დარგში.

პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილის ნაშრომი „ჩუქების სამართლებრივი ბუნება“ ეძღვნება ჩუქების ხელშეკრულების წარმოშობას და განვითარებას, ასევე სტატია „ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები“ აქვე ვკითხულობთ საინტერესო მოსაზრებას, რომ „მხედველობაშია მისაღები ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი, რაც განპირობებულია მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობებით, რაც თვით ჩუქების მოტივად განიხილება. დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება და დიდი უმადურობის გამოჩენა მჩუქებლის მიმართ სპობს იმ საფუძველს, რამაც ჩუქება წარმოშვა. ამიტომაც არ ილახება გაჩუქებული ნივთის გამოთხოვისას დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის ინტერესი.“

ზურაბ ძლიერიშვილი თავის მონოგრაფიაში „ჩუქების სამართლებრივი ბუნება“ ზუსტად განსაზღვრას ჩუქების ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტებს და მიუთითებს იმ მომენტზე, როდესაც ხელშეკრულება დაიდო „ჩუქების ხელშეკრულების მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი უნდა იყვნენ აღჭურვილნი სამოქალაქო უფლებანარიანობითა და ქმედუნარიანობით. მაგალითად, არასრულწლოვანს არ შეუძლია გააჩუქოს ქონება, ანდა მიიღოს საჩუქარი მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, რადგან შესაძლებელია ჩუქება შეიცავდეს მისი ინტერესების საწინააღმდეგო შინაარსს. ჩუქების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ურთიერთშეთანხმება, საჭიროა ასევე საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისათვის. სწორედ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქების ხელშეკრულება დადებულიად, მაშასადამე, იგი რეალური ხასიათის ხელშეკრულებაა. ჩუქება არის ასევე ცალმხრივი ხელშეკრულება, რამეთუ ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთგანპირობებულ უფლება-მოვალეობათა გათვალისწინებას.“

ამ და ბევრი სხვა საინტერესო, სტატიის, წიგნისა თუ სასამართლო პრაქტიკის გაზიარების და შეჯერების საფუძველზე შექმნილი წინამდებარე ნაშრომი.

თავი II. ჩუქების სამართლებრივი საფუძვლები

2.1. ჩუქების არსი და მნიშვნელობა

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.³ ჩუქება არის ორმხრივი შეთანხმება და ჩუქების ხელშეკრულება ძალაში შედის დასაჩუქრებულის თანხმობის შემთხვევაში. ჩუქება რეალური და ცალმხრივი ხელშეკრულებაა.

ჩუქების ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებელი მისი უსასყიდლო ბუნებაა. ჩუქების დროს დასაჩუქრებულის ქონებრივი მდგომარეობა უმჯობესდება დამსაჩუქრებლის ქონების შემცირების ხარჯზე. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დასაჩუქრებელი თანხმობა, მიიღოს ქონება.

გასაჩუქებელი ქონება შეიძლება იყოს როგორც მოძრავი ისე უძრავი ნივთი და მისი საკუთრებაში მისაღებად მოქმედებს მოძრავი ან უძრავი ნივთის შეძენისათვის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესი. სამოქალაქო კოდექსის 525–ე მუხლის მიხედვით, ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი, ქონება რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის სავალდებულოა ამ ფორმის დაცვა.⁴

საინტერესოა საკითხი რა შემთხვევაში გვაქვს სახეზე ჩუქება, როცა ჩუქების მოტივი არის რაიმე სარგებლის მიღება, კეთილგანწყობის მოპოვება, თუ ჩუქება ასეთ პირობას შეიცავს, ის თვალთმაქცურ გარიგებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩუქებად არ უნდა მივიჩნიოთ ასევე, ნებისმიერი საგნის გადაცემა, რომელიც უსასყიდლო იქნება. მაგალითად ერთჯერადი დახმარების მიცემა, ყვავილის მირთმევა. ასეთი აქტები სამოქალაქო სამართლის სფეროს სცილდება და ზნეობრივი ნორმებით ან სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება.⁵

ძირითად ამოსავალ დებულებად ჩუქების ხელშეკრულების დასაღებად მიიჩნევა მისი უსასყიდლო ხასიათი, შეიძლება ის ამ ნიშნით დავუკავშიროთ ანდერძს, რადგან ანდერძით ხდება გარდაცვლილის ქონების გადასვლა სხვა პირზე უსასყიდლოდ, მაგრამ ჩუქებისგან განსხვავებით

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მ.524

⁴ ჩუქების ხელშეკრულების ფორმის დაცვაზე მომდევნო თავებში უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001. გვ.66

მონადერძის ქონება მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გადადის სხვა პირზე, ხოლო ჩუქების დროს მჩუქებელი თავისივე სიცოცხლეში გადასცემს სხვა პირს ქონებას ან მის ნაწილს. სწორედ ამიტომ ანდერძის დროს ქონების გადაცემა მისი უსასყიდლო ბუნების მიუხედავად არ უნდა მივიჩნიოთ ჩუქებად.

გერმანული სამოქალაქო კოდექსი ისევე, როგორც ქართული სამოქალაქო კოდექსი ჩუქებას განსაზღვრავს, როგორც უსასყიდლო ხასიათის გარიგებას, რომლის დროსაც ქონების გაცემამ არ უნდა წარმოშვას რაიმე სახის საპასუხო ვალდებულება.⁶ მაგრამ განასხვავებს ჩუქებას, ვალდებულების დაკისრებით, როდესაც დასაჩუქრებული ვალდებულია განახორციელოს საპასუხო შესრულებას გამჩუქებლის მიმართ. ასეთ დროს სახეზე გვაქვს ჩვეულებრივი ჩუქების ხელშეკრულება ვალდებულების დაკისრებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩუქება არის ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის დასაჩუქრებული თანხმობის შემდეგ და მისი ძირითადი მახასიათებელი უსასყიდლო ბუნებაა.

2.2. ჩუქების ისტორიულ–სამართლებრივი საფუძვლები

ჩუქების ინსტიტუტი სიახლეს არ წარმოადგენს ცივილური სამართლისათვის, ის ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლიდან მოდის. ძველი რომის სამართალში ჩუქების ხელშეკრულება (pactum donationis) წარმოადგენდა არაფორმალურ შეთანხმებას, რომლითაც „ერთი მხარე – გამჩუქებელი გადასცემდა მეორე მხარეს – დასაჩუქრებულს – თავისი ქონების ხარჯზე რაიმე ფასეულობას იმ მიზნით, რათა გამოეჩინა გულუხვობა დასაჩუქრებულის მიმართ“. ჩუქება შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით: ფულადი თანხის გადახდით, სერვიტუტით გადაცემის გზით და ა.შ. ჩუქების გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა ჩუქების დაპირება. თავდაპირველად, ჩუქების ხელშეკრულებას რომელი იურისტები არ ცნობდნენ ტიპურ ხელშეკრულებად, არამედ მიაკუთვნებდნენ შეთანხმებას, რომელიც არც ერთი ტიპის ხელშეკრულებას არ შეესაბამებოდა, მოგვიანებით კი ჩუქების ხელშეკრულება აღიარებული იქნა ტიპურ ხელშეკრულებად და მას იცავდა კანონმდებლობა. რომის სამართალი მთლიანად იზიარებდა ჩუქების უსასყიდლო ხასიათს.⁷

⁶ ი. კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011, გვ. 390

⁷ <http://legalclinic.iliauni.edu.ge/sakanonmdeblo-regulireba-da-sasamarthlo-pragtika/>

ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნაჩუქრობას. ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებისადმი ყურადღება განპირობებული იყო იმით, რომ ამ ინსტიტუტების განვითარება დამოკიდებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაზე. ჩუქების ინსტიტუტს და მის სამართლებრივ რეგულირებას თითქმის ყველა ქართული სამართლის ძეგლში ვხვდებით. ჩუქებას ეხება ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ სამართალში ჩუქებას „ნიჭი“ ეწოდებოდა, მაგრამ მჩუქებლის მდგომარეობის მიხედვით საჩუქარსაც და ჩუქებასაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. მაგალითად, სოციალურად მაღლა მდგომისაგან მასზე უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და „შეწყალება“ ან „ბოძება“ ეწოდებოდა, ხოლო ასეთ ნაჩუქარს – „ნაწყალობევი“ ან „ნაბოძვარი“.⁸

რაც შეეხება ჩუქების გაუქმებას და ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნებას უცხო არ იყო რომის სამართლისთვის, ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით იუსტინიანე აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ზოგადად დავადგინეთ, რომ ყოველი კანონიერი ჩუქების ხელშეკრულება ძალაში რჩება და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, დადგენილი იქნება დასაჩუქრებულის მხრიდან აშკარა უმადურობა“⁹.

მსგავს ჩანაწერს ვხვდებით, ბექა მანდატურთუხუცესის დადგენილებაში, „მოყვრობისა და კარგი დამოკიდებულებისთვის ნაჩუქარ ქონებას გამჩუქებელი თუნდაც გაღარიბებულიყო უკან ვერ გამოართმევდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეებს შორის მოყვრობა და კეთილი განწყობილება მოიშლებოდა დასაჩუქრებულის ბრალით, დასაჩუქრებულს საჩუქარი უკლებლივ უნდა დაებრუნებინა“.¹⁰

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩუქებისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი – მისი უსასყიდლო ბუნება დღესაც უმნიშვნელოვანესი ნიშანია ამ ინსტიტუტისთვის, ისევე როგორც ჩუქების გაუქმების საფუძველი დასაჩუქრებულის არაკეთილგანწყობა დასაჩუქრებლის მიმართ. ამ და სხვა პრინციპებით განაგრძობს ეს ინსტიტუტი არსებობას.

⁸ ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2004, გვ.6

⁹ ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, თბ., 2007, გვ.106–107

¹⁰ იქვე, გვ.107

2.3. ჩუქების ხელშეკრულების ფორმა და მისი დაუცველობის შედეგები

ჩუქების ხელშეკრულების ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ნამდვილობისთვის. სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე ჩუქების ხელშეკრულებისთვის აუცილებელ ფორმებს, კერძოდ უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო მოძრავ ნივთებზე ნივთის გადაცემის მომენტიდან.

ვიდრე ზემო აღნიშნულ მსჯელობას გავაგრძელებდეთ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ვინ შეიძლება დადოს ჩუქების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, მთავარია, იყვნენ სამართალსუბიექტურნი, იურიდიული პირი კი იყოს უფელბაუნარიანი.

ჩუქების ხელშეკრულების საგანი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი, რომლებიც არის სამოქალაქო ბრუნვაში. ჩუქების ობიექტი შეიძლება იყოს უფლება. როცა ხელშეკრულების საგანი უფლებაა, ჩვეულებრივ ხდება მისი დათმობა.¹¹ როცა ჩუქების ობიექტი მოთხოვნის უფლებაა, ყველა შემთხვევაში მოვალე გაფრთხილებული უნდა იყოს ამის თაობაზე. ჩუქების ობიექტი არ შეიძლება იყოს პირადი ხასიათის უფლებები.¹²

ჩუქების ხელშეკრულების ფორმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაზე მეტყველებს კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვით, საჩუქრის დაპირება, წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, თუ იგი წერილობითი ფორმითა დადებული. შეგვიძლია ჩუქების დაპირება მივიჩნიოთ, როგორც წინარე ხელშეკრულებად, ვინაიდან ჩუქების დაპირება მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების საფუძველია.

საინტერესოა საკითხი შეიძლება თუ არა დამპირებელმა უარი განაცხადოს საჩუქრის გადაცემაზე? შესაძლებელია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც საჩუქრის არ გადაცემას მოჰყვა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს შეუძლია თუ არა შემპირებელმა უარი განაცხადოს დაპირებულის საჩუქრის გადაცემაზე ისე, რომ მას არ დაეკისროს დანაპირების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ეს შესაძლებელი უნდა იყოს თუ დადგინდება, რომ ქონების გაჩუქება დაპირებელს უსპობს საარსებო წყაროს და მას არ აქვს შესაძლებლობა, არჩინოს თავისი ან თავის კმაყოფაზე მყოფი პირები სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის ანალოგიით.¹³ ასევე ვფიქრობ, შესაძლებელია კანონის ანალოგიის გამოყენება,

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001, გვ.68

¹² იქვე, გვ. 68

¹³ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მ. 526, გვ.5

როდესაც საქმე ეხება შეპირებულის მიმღე შეურაცხყოფის მიაყენებს ან დიდი უმადურობას გამოიჩინოს დამპირებლის მიმართ, ასეთ შემთხვევაში დასაშვები იქნება ცალმხრივი უარი დამპირებელმა არ გადასცეს ქონება შეპირებულს.

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს განმარტება აღნიშნულ საკითხზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს 2007 წლის 25 ოქტომბრის ვალის აღიარებისა და ვალდებულების არსებობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, როგორც უძრავი ქონების ჩუქების წინარე ხელშეკრულებად კვალიფიკაციასა და ფორმის დაუცველობის გამო ბათილად მიჩნევის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო, როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელემ ი. გ-ეს ვალდებულების აღიარების სანაცვლოდ შეუძინა სამოთახიანი ბინა ქ. თბილისში ამასთან, 2007 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან ვკითხულობთ შემდეგს: ი. გ-ემ იკისრა ვალდებულება რ. გ-ის წინაშე, პირველი მოთხოვნისთანავე, მის სახელზე გააფორმოს ი. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი, ვინაიდან, ი. გ-ემ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-2“-ის დამფუძნებელთა რიგებში ყოფნაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ რ. გ-ემ მას და მის ქალიშვილს უყიდა 70 კვ.მ ფართობის სამოთახიანი ბინა თავისი სახსრებით და რეალურად უნდა მიეღო ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ფაქტი აშკარად გამორიცხავს მხარეთა შორის ჩუქების წინარე ხელშეკრულების დადებას და მასში უფრო მეტად იკვეთება გარიგების სასყიდლიანი სახე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, რომც მივიჩნიოთ 2007 წლის 25 ოქტომბრის შეთანხმება ჩუქების წინარე ხელშეკრულებად, იგი აკმაყოფილებს ამ ტიპის გარიგებისათვის კანონით დადგენილ ფორმას. კერძოდ, გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე და 71-ე მუხლებში. 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი ფორმა, ხოლო წერილობითი გარიგება თავის მხრივ შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის.¹⁴ სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმას, რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს გადაცემით ჩუქებით ხელშეკრულებას, ანუ ჩუქების ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის

¹⁴ ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 64

საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, აუცილებელია საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.¹⁵

გერმანული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ საკითხს ანალოგიურად აწესრიგებს, კერძოდ იმ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, რომლითაც ჩუქების ვალდებულების შესრულების შეპირება, საჭიროა სანოტარო წესით დამოწმება.¹⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ისე წერილობითი ფორმით, მოძრავი ნივთის ჩუქება შეიძლება როგორც წერილობით ისე ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავი ნივთის გაჩუქება – წერილობით ანუ კონკრეტულ ქონების გაჩუქებისას მოქმედებს კანონის მიერ განსაზღვრული ქონებაზე საკუთრების წარმოშობის წესი. საჩუქრის დაპირებისთვის კი კანონი განსაზღვრავს სპეციალურ წერილობით ფორმას, რომელიც იქნება სანოტარო წესით დამოწმებული და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარმოშობს ის ჩუქების ვალდებულებას.

საინტერესოა აქვე გავიხილოთ ჩუქების ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები, ვფიქრობთ აქ უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი, რომელიც ეხება ფორმადაუცველ ხელშეკრულებას და მის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.¹⁷

2.4. ჩუქება, როგორც ხელშეკრულება

საინტერესოა როგორ დგას ჩუქების ხელშეკრულების საკითხი კონტინენტური ევროპისა და პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1101-ე მუხლის მიხედვით „ხელშეკრულება არის შეთანხმება, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამდენიმე პირი სხვა ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე ვალდებულებას კისრულობს, გადასცეს შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე. ამასთან იგი უნდა იყოს მიმართული სამოქალაქო უფლებების წარმოშობისკენ.¹⁸ იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს

¹⁵ ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 64

¹⁶ ი. კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011, გვ. 391

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მ.59

¹⁸ ე. დანლია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, თბ., 2007, გვ. 48

შორის, რომელიც მიზნად ისახავს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხელშეკრულება განხილულია, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხელშეკრულებას წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგება, რომლის საშუალებითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას სხვა ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე, ხოლო გარიგება იდება სამართლებრივი შედეგის მისაღწევად.¹⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იზიარებს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად ხელშეკრულებაც არის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება, შეთანხმება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისათვის აუცილებელი განვსაზღვროთ თუ რა არის ამ ხელშეკრულების კაუზა²⁰. ხელშეკრულების დადების საფუძველია ვალდებულების კაუზა, მაგალითად მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა. რაც შეეხება უსასყიდლო ხელშეკრულებას, მათი ობიექტური კაუზა სხვისთვის საკუთრების უსასყიდლოდ, საპასუხოს მოთხოვნის გარეშე გადაცემის სურვილია, თუმცა მხოლოდ ობიექტური მიდგომა დაიყვანება მტკიცებამდე, რომ ჩუქება არ განხორციელდებოდა ჩუქების განზრახვის გარეშე. ამიტომ ჩუქებასთან მიმართებით ხშირად სუბიექტური კაუზა ანუ მოტივი განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს. სუბიექტური მიდგომის მიხედვით, ჩუქების საფუძველი არ არსებობს თუ კი არ არსებობს ჩუქების მიზეზი.²¹

გერმანული სამართალი აღიარებს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულებაში კაუზა არის მხარეთა შეთანხმება ერთი პირის მიერ მეორის გამდიდრების, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.²²

კონტინენტური ევროპის ქვეყნები, თანხმდება ხელშეკრულების ერთიან შინაარსზე, რომ ის არის გარიგება, რომლებიც მიმართულია უფლებების წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისკენ და ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნები აღიარებს ჩუქების ხელშეკრულების კაუზალურობას, ჩუქების ხელშეკრულების კაუზალურობა მხარეთა შეთანხმებაში ვლინდება.

¹⁹ Гранжданское и торговое право зарубежных государств, москва, 2004, ст. 494

²⁰ კაუზად მიიჩნევა საფუძველი, რის გამოც იდება ხელშეკრულება.

²¹ ე. დანლია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, თბ., 2007, გვ. 50

²² U. Markesines, The German Law of Contract, 2006, pg.148

2.5. გაჩუქებული ქონების ნაკლი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი იცავს დასაჩუქრებულს, რომ მიიღოს საკუთრებაში ხარისხიანი საჩუქარი, ამ მუხლის მიხედვით, თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.²³

მიუხედავად იმისა, რომ ჩუქება უსასყიდლო ხასიათის ხელშეკრულებაა, მჩუქებელი მოვალეა კეთილსინდისიერი იყოს ქონების გაჩუქებისას და გადასცეს ხარისხიანი ნივთი დასაჩუქრებულს.

საჩუქარი უნდა იყოს ხარისხიანი და დასაჩუქრებულისთვის გარკვეული სარგებლის მომტანი, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დღის წესრიგში. კერძოდ, თუ საჩუქარმა ზიანი მიაყენა დასაჩუქრებულის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, მჩუქებელს დაეკისრება მისი ანაზღაურება. მჩუქებლის ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით დადგენილი საფუძვლების არსებობა, რომლებიც დელიქტურ ვალდებულებებს ეხება.²⁴

მჩუქებელი პასუხს აგებს მისი განზრახვი ქმედებისათვის ანუ, იმისათვის რომ მჩუქებელმა საჩუქრის ნაკლის შესახებ იცოდა და არ გააფრთხილა დასაჩუქრებული. გერმანული სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, კერძოდ განასხვავებს ერთმანეთისგან პასუხისმგებლობას უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლის გამო.

გერმანული კოდექსის 523-ე მუხლის მიხედვით თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს უფლებრივ ნაკლს იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. რაც შეეხება პასუხისმგებლობას ნივთობრივი ნაკლის გამო, თუ დასაჩუქრებული ბოროტი განზრახვით მალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. თუ მჩუქებელმა იკისრა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემა, რომელიც მან ჯერ უნდა შეიძინოს, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემული ნივთი ნაკლის მქონეა და მჩუქებელმა ნივთის შეძენისას იცოდა ნაკლის შესახებ, ან მან ამის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, დასაჩუქრებულს

²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მ. 527

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001, გვ. 73

შეუძლია მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის დაცვლად მისთვის უნაკლო ნივთის მიწოდება, თუ მჩუქებელმა ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა, მაშინ დასაჩუქრებულს უნაკლო ნივთის გადაცემის ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზიანის ანაზღაურება. ამ მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება გაყიდული ნივთის ნაკლისათვის გარანტიის შესახებ ნორმები.²⁵

ასეთია გაჩუქებული ნივთის ნაკლისთვის მჩუქებლის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი ქართულ და გერმანულ სამართალში.

2.6. შეწირულობა, როგორც პირობითი გარიგება

საინტერესო იქნება განვიხილოთ ჩუქების ერთ–ერთი ფორმა, რომელიც სამოქალაქო კოდექსში შეწირულობის სახელით არის ცნობილი, სამოქალაქო კოდექსის 528–ე მუხლის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე, ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო–სასარგებლოც. ამგვარი ჩანაწერი კანონში არ უნდა გავიგოთ, ისე თითქოს ჩუქება სასყიდლიანია ან დასაჩუქრებულის მხრიდან რაიმე ქონებრივი ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩუქების ხელშეკრულებით არ შეიძლება რაიმე პირობის გათვალისწინება.

პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე ან გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.²⁶ ხოლო როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ჩუქების ხელშეკრულებაზე რაიმე მიზნისთვის, რომელიც შეიძლება იყოს საერთო–სასარგებლო, სწორედ ასეთი ჩუქება წარმოადგენს შეწირულობას. შეწირულობის მიზანი კეთილი საქმე, ქველმოქმედებაა ვიღაცის დახმარების სურვილი. შეწირულობად არ ჩაითვლება საჩუქარი პირთა წრის მიმართ, თუ მას კერძო ინტერესი გააჩნია, მაგალითად ნათესაური კავშირი.²⁷ შეწირულობის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს, შეუძლია ასევე გააჩუქოს ნებისმიერი ქონება, რომლის განკარგვაც თავისუფლად არის შესაძლებელი.

²⁵ ი. კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011, გვ. 393

²⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ.526, გვ.1

²⁷ იქვე, გვ.4

ვინაიდან ვსაუბრობთ პირობადადებულ ჩუქების ხელშეკრულებას, საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა დასაჩუქრებული პირობას არ ასრულებას, ეს უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და შეგვიძლია მოვითხოვოთ მისი გაბათილება.

2.7. ჩუქების დაუშვებლობა

სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კანონმდებელი უკრძალავს პირს გააჩუქოს თავისი ქონება, კერძოდ პირს უფლება არ აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

ჩუქების აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს მჩუქებლის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. თუ მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს საარსებო წყარო მოესპობა თავისი ქონების გაჩუქებით, ჩუქების ხელშეკრულება არ შიძლება დაიდოს, ხოლო დადებული ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს.²⁸

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ, ამ ქონების მეშვეობით გამჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და გაჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. საცხოვრებელი სახლის გაჩუქება, თავისთავად, არ გულისხმობს საარსებო წყაროს მოსპობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში რჩება, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია, მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, ქონების გაჩუქების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 526-ე მუხლი კი, ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება, ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 530-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამჩუქებელს, 526-ე მუხლის საფუძველზე კი, გამჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ თ.ბ-ო სადავო ბინიდან შემოსავალს იღებდა,

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001, გვ. 72

ასევე ის გარემოებაცაა საყურადღებო, რომ ბინას კვლავ მოსარჩელე ფლობს და ნ.კ-ა ხელს არ უშლის, ქონებით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობაში.²⁹

კანონმდებლის ამგვარ შეზღუდვას შეგვიძლია ორი განმარტება მივცეთ, პირველი საინტერესოა ხომ არ ხდება პირის უფლებებში ჩარევა და ხომ არ იზღუდება ამ დროს მესაკუთრის უფლებები განკარგოს თავისი ქონება. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, ამ ყველაფერს კი შეგვიძლია დავუპირისპიროთ სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის აკრძალვა რაც უნდა მივიჩნიოთ გამჩუქებლის კეთილდღეობის და ქონებრივი სტაბილურობის გარანტიად.

ამ მუხლის გაგრძელებად და გამოძახილად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი, (რომელზედაც ჩვენ მომდევნო თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ) როცა გამჩუქებელი ან მის კმაყოფაზე მყოფი პირები ქონების გაუქმების შემდეგ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც ჩუქების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია. აღნიშნულისგან თავის არიდებას ემსახურება 526-ე მუხლი, რომელიც უკრძალავს პირს გააჩუქოს თავისი ერთადერთი ქონება.

მნიშვნელოვანია ამ მუხლზე საუბრისას აღვნიშნოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ ხომ არ ლახავს ეს მუხლი საკუთრების განკარგვის თავისუფლებას?! ზემოთ აღნიშნული მოყვანილი მსჯელობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული მუხლის შეზღუდვა ემსახურება მჩუქებელს და მის კმაყოფაზე მყოფ პირებს, თუ ამგვარი შეზღუდვით კანონი მჩუქებელს იცავს მისი ქმედებისაგან, მაშინ საინტერესოა რატომ არ ზრუნავს კანონმდებელი გამყიდველზე როცა ის ნივთს დაბალ ფასად ყიდის?! სამართლებრივ ურთიერთობებში პირის დაცვა თავისივე ქმედებისგან შეუძლებელი და ალოგიკურია. საარსებო წყაროს მოსპობა შესაძლებელია არამართო ნივთის გაჩუქებით არამედ მისი განადგურებითაც, კანონი კი ნივთის მესაკუთრეს არ უკრძალავს ნივთის განადგურებას, თუნდაც მას მოესპოს საარსებო წყარო.³⁰

საინტერესოა კიდევ ერთი მოსაზრება ამ მუხლთან მიმართებით, კერძოდ ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მუხლი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს?! სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მიხედვით კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი.³¹

²⁹ ა. ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 65

³⁰ გ. მეტრეველი, ჩუქების შემზღუდველი ერთი სამართლებრივი ნორმის რეგულირებისათვის, თბ., 2013, გვ.1

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, მ. 319

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლიდან გამომდინარე, იზღუდება როგორც ხელშეკრულების თავისუფლების, ისე ნების ავტონომიურობის პრინციპები. თუ ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს ან ზნეობრივ ნორმებს, მისი დადების აკრძალვის საფუძველი არ უნდა იყოს ურთიერთმოვალეობათა ბალანსის დარღვევა, ერთ-ერთი მხარის არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენა და სხვა მსგავსი ფაქტორები. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხელშეკრულების დადებამდე ორივე მხარეს ჰქონდა მოფიქრებისა და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების სწორად მიღების შესაძლებლობა.³²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 526-ე მუხლით გათვალისწინებული ჩუქების აკრძალვა საკუთრების განკარგვის და ხელშეკრულების დადების თავისუფლება იზღუდება. თუ დავუშვებთ იმ მსჯელობას, რომ კანონმა შეუძლებელია პირი დაიცვას საკუთარი ქმედებისგან, მაგრამ შესაძლებელია კანონმა დაიცვას მჩუქებლის კმაყოფაზე პირები, მაშინ შესაძლებელია 526-ე მუხლის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „პირს უფლება არ აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ის საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებს“.

³²გ. მეტრეველი, ჩუქების შემზღვეველი ერთი სამართლებრივი ნორმის რეგულირებისათვის, თბ., 2013, გვ. 3

თავი III. ჩუქების გაუქმება

3.1. ჩუქების გაუქმების საფუძველები და მისი შედეგები

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქონების საკუთრებაში გაცემის ხელშეკრულებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩუქების ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსი იცნობს ჩუქების გაუქმების საფუძველებს, კერძოდ ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ან გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, რაც გამოწვეულია ქონების დათმობით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ჩუქება როგორც საკუთრების შექმნის ერთ ერთი ფორმა არც ისე მყარი ინსტიტუტია.

ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართალში. ჩუქების გაუქმების ინსტიტუტთან მიმართებით იუსტინიანე განმარტავდა: „ჩვენ ზოგადად დავადგინეთ, რომ ყოველი კანონიერი ჩუქების ხელშეკრულება ძალაში რჩება და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილი იქნება დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ აშკარა უმადურობა“. ასეთი უმადურობის გამოხატვას წარმოადგენდა დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლისათვის მძიმე შეურაცხოვის მიყენება (*iniunice atroces*), მჩუქებლის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება.³³ არც ქართული და არც გერმანული სამართლისათვის უცხო არ არის ამგვარი ჩანაწერი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529–ე მუხლი ითვალისწინებს ჩუქების გაუქმებას დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, კერძოდ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს, თუ რა შედეგის უმადურობის ცნებაში ან ვინ წარმოადგენს მჩუქებლის ახლო ნათესავს. სასამართლო პრაქტიკაში კი მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად ითვლება: ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან აღმავალი და დაღმავალი ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების, თავისუფლების ან საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; ბ) განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; გ) კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე — არჩინოს მჩუქებელი, უარის თქმა და

³³ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ. 529, გვ. 3

სხვა. სასამართლომ დაადგინა, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან მეორე ოჯახის შექმნა არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ იმ გარემოებას, რომელიც საფუძვლად შეიძლება დაედოს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას.³⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კანონი არ იძლევა ტერმინის განმარტებას თუ რა იგულისხმება დიდ უმადურობაში, სწორედ ამიტომ სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტოს ამ ტერმინის მნიშვნელობა და თვითონ განსაზღვროს აქვს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი მძიმე შეურაცხყოფას.

შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, 2008 წლის 17 იანვარს რ.დ-მ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს თვისი შვილის მ. დ-ს მიმართ. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – 2005 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ხელვაჩაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. მანამდე იგი ცხოვრობდა ბათუმში ბინაში, რომელიც საკუთრებაში გადასცა თავის შვილს, მოპასუხე მ.დ-ს. ამ უკანასკნელის დაჟინებული თხოვნით 2005 წლის 17 მაისს ხელვაჩაურში არსებული სახლი მოსარჩელემ გააჩუქა შვილიშვილზე. სახლის გაჩუქებაზე არსებითი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მოპასუხე მას სიცოცხლის ბოლომდე სათანადო მოვლა-პატრონობას დაჰპირდა. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც რ. დ-თვის ცნობილი გახდა, რომ მოსარჩელე დაოჯახებას აპირებდა, რ. მ-ის მიმართ მისი დამოკიდებულება შეიცვალა, იგი მოსარჩელეს ყოველმხრივ ზღუდავდა და ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევდა. რამდენადაც სადავო ქონების გაჩუქებამ რ.დ-ს საარსებო წყაროს გარეშე დარჩენა გამოიწვია, 2005 წლის 18 მაისის ჩუქების ხელშეკრულება გაუქმებას ექვემდებარებოდა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, რ. დ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლზე, რომლის თანახმად ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ. რ. დ-მის ჩვენებაზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მის მიმართ ოჯახის წევრები არ იჩენდნენ უმადურობას და უპატივცემლობას და არც შეურაცხყოფას აყენებდნენ მას. მოსარჩელის მოტივაცია, რომ მისმა რძალმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის არარეგისტრირებულ მეუღლეს მასთან ერთად არ სადილობდნენ, რაიონულმა სასამართლომ მძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად არ

³⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ.529, გვ. 5

მიიჩნია, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნული მოტივით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებაზე არ დააკმაყოფილა.³⁵

ერთ-ერთ საქმეზე, როცა საჩუქრად მიღებული ქონება დასაჩუქრებულმა იპოთეკით დატვირთვა, სასამართლომ მჩუქებლის სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის მიერ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ქონების იპოთეკით დატვირთვა არ შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით დარღვევად, რადგან საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გარიგების დადება მესაკუთრის უფლებამოსილებაა.³⁶

ზურაბ ძლიერიშვილი თავის სტატიაში აღნიშნავს რომ, დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფა შეფასებითი კატეგორიაა. ამ წინაპირობათა არსებობის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც მჩუქებლის მიერ გარემოებების აღქმა, ე.წ. სუბიექტური თვალსაწიერი, ასევე მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებას ამავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი.³⁷ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ფაქტების ურთიერთშეჯერებით.

კიდევ ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, მეუღლეები 2009 წელს განქორწინდნენ, ამასთან, ქორწინების პერიოდში მრავალი უთანხმოება და კონფლიქტი ჰქონდათ, ფ. გ-მა (ერთ-ერთი მეუღლე) არაერთხელ მოითხოვა ჩუქების გაუქმება, თუმცა ორივე შემთხვევაში სარჩელი თავად გამოიხმო. საქმიდან არ დასტურდება მხარეთა შეთანხმების არსებობა, რომ ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ფ. გ-ი ი. მ-ის კუთვნილ ბინაში გააგრძელებდა ცხოვრებას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კასატორის განმარტებით, ფ. გ-ი ი. მ-ის ნაჩუქარ ბინაში მამასთან, თავის შვილთან პირველი ქორწინებიდან და მესამე ქმართან ერთად ცხოვრობს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკუთრების უფლება ვერ შეიზღუდება გამჩუქებლის სურვილით მუდმივად გააგრძელოს ცხოვრება გაჩუქებულ ბინაში თავის ოჯახთან ერთად. ამგვარი მოთხოვნა გონივრულობის ფარგლებს სცილდება და ი. მ-ის ნება, რომ არ დაუშვას თავისი საკუთრებით ამგვარი სარგებლობა, უმადურობად ან შეურაცხყოფად ვერ შეფასდება. ი. მ-ს, როგორც ბინის მესაკუთრეს შეუძლია, შეუზღუდავად ისარგებლოს თავისი საკუთრებით, მით

³⁵ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, Nას-659-881-08 (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2008 წლის 13 10)

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე Nას-826-775-2010

³⁷ ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, თბ., 2007, გვ. 109

უფრო, რომ საქმიდან არ დასტურდება მხარეთა შეთანხმების არსებობა ფ. გ-ის მიერ ბინით სარგებლობის თაობაზე.³⁸

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლომ დადგინა მძიმე შეურაცხყოფის ფაქტი. მ.ბადრიძემ თავის შვილიშვილს არჩილს აჩუქა ანტიკვარული გიტარა, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული თავისი პაპისაგან. ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი ფორმით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და შვილიშვილმა მიიღო საჩუქარი. საჩუქრის გადაცემიდან დიდი ხანი არც იყო გასული, რომ მჩუქებელმა შეამჩნია არჩილი, ანუ დასაჩუქრებული, უგულისყუროდ ეკიდებოდა ნაჩუქარ გიტარას, დაკვრის შემდეგ უდიერად მიაგდებდა ხოლმე, პაპის შენიშვნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ გიტარა ხუმრობით თავში ჩაარტყა მეგობარს, რის შემდეგაც ინსტრუმენტი დაზიანდა. გამჩუქებელმა ჩათვალა, რომ ასეთი მოპყრობით გიტარა მნიშვნელოვნად დაზიანდებოდა, იგი ოჯახის რელიკვიას წარმოადგენდა, ამიტომ მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილიშვილთან დადებული ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული გიტარის უკან დაბრუნება სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი აქვს გამჩუქებლის მიმართ უმადურობის გამოვლენას, გააუქმა ჩუქების ხელშეკრულება და დასაჩუქრებულს დააკისრა გამჩუქებლისათვის ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნება.³⁹

საინტერესოა აღნიშნული მუხლის კავშირი საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ამ საკითხზე. 2001 წლის 26 მარტს, საქმეზე – საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელეს აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“ არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ „მას შემდეგ, რაც მჩუქებელი დასაჩუქრებულს გადასცემს ქონებას, დასაჩუქრებული ხდება ამ ქონების მესაკუთრე და მხარეებს შორის ყველანაირი ურთიერთობა წყდება“, რაც შეეხება „მძიმე შეურაცხყოფასა და დიდ უმადურობას“, ეს პირადი ურთიერთობის სფეროა და მას არა აქვს კავშირი „საზოგადოებრივ საჭიროებასთან“, ამიტომაც ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.⁴⁰ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რომ, მოცემულ საქმეში,

³⁸ ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 191

³⁹ ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2004, გვ.28

⁴⁰ <https://elawjournal.wordpress.com/2012/01/21/%e1%83%a9%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a9%e1%83%a3%e1%83%a0/>

ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს. როგორადაც კანონის თანახმად მიჩნეულია „მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა“.⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მხარის მიერ თავისი უფლებების განხორციელება, რასაც დასაჩუქრებულისგან საკუთრების დაბრუნება მოსდევს შედეგად, არ შეიძლება განვიხილოთ საკუთრების უფლების დარღვევად.⁴²

რაც შეეხება იურიდიულ პირებს ჩუქების გაუქმების საფუძვლად აქაც უნდა მივიჩნიოთ მძიმე შეურაცხყოფა, მაგრამ ამ ჩანაწერს იურიდიული პირის სპეციფიურობიდან გამომდინარე ვერ გავავრცელებთ მასზე, როცა იურიდიული პირისგან ქონების გამოთხოვაზე ვსაუბრობთ ამ დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის რეპუტაციას, ჩვენ კი შეგვიძლია იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა მივიჩნიოდ მის მძიმე შეურაცხყოფად რაც შემდგომ შეიძლება გახდეს გაჩუქებული ქონების გამოთხოვის საფუძველი.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი ითვალისწინებს ჩუქების გაუქმებას, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს უმადურობას. როგროც დავინახეთ ანალოგიურადაა მოწესრიგებული ეს საკითხი ჩვენს კანონმდებლობაში.

რაც შეეხება მჩუქებლის მიერ ქონების გამოთხოვას, ჩუქების გაუქმება კანონმდებლის მიერ პირისათვის მინიჭებული შესაძლებლობაა, ცალმხრივად, ანუ მეორე მხარის თანაქმედების გარეშე, გამოიწვიოს სასურველი სამართლებრივი შედეგი. მასში მითითებული უნდა იყოს ჩუქების გაუქმების საფუძველი.⁴³ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა ხდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე, რაზედაც დეტალურად მომდევნო თავებში ვისაუბრებთ. აქვე ვიტყვით, იმსაც რომ ნაჩუქარი ქონების დაბრუნებისას, დასაჩუქრებულს არ აქვს უფლება მჩუქებლისაგან მოითხოვოს ის ზიანი, რომელიც მას მიადგა ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების გამო.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩუქების გაუქმებას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება,

⁴¹ საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/2/155 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 04 01)

⁴² ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, თბ., გვ. 111

⁴³ Larenz, Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9.Aufl., 2004, §18, Rn.7. Koch, in Münch.Komm.BGB. Band 3.5.Aufl., §531, Rn.4

არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს. ამ მუხლის შინაარსის კარგად ჩასაწვდომად პრობლემის ანალიზისთვის საკმარისია გავიაზროთ ჩუქების უსასყიდლობა და ის ურთიერთობა რასაც ეფუძნება ჩუქება, სავარაუდოა, რომ გამჩუქებელსა და მჩუქებელს შორის აღარ არსებობს კეთილგანწყობილი ურთიერთობა რაც გამოწვეულია დასაჩუქრებულის უმადურობით და მათ შორის თითქოს ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენ ჩუქების გაუქმება. აქვე მახსენდება სიტყვები ბ. ზოიძის წიგნიდან, რომ „სამართალი ყოველთვის დარაჯად უნდა ედგეს ხალხის ზნეობას ასე იყო ძველ დროშიც“.

3.2. მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, როგორც გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის საფუძველი

კანონი ითვალისწინებს გაჩუქებული ნივთის მჩუქებლისათვის გადაცემას კიდევ ერთი საფუძველით, კერძოდ თუ გაჩუქების შემდგომ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ისე რომ არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, ასეთ დროს მას უფლებას აქვს მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება თუ ეს უკანასკნელი არსებობს და ამით ზიანი არ მიადგება დასაჩუქრებულს. კანონში ამგვარი ჩანაწერი ისევ მჩუქებლის ინტერესებს იცავს, მაგრამ არა ისე რომ დასაჩუქრებული ჩააყენოს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. თუ დასაჩუქრებულმა ნაჩუქარი ნივთი უკვე გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა, მაშინ მჩუქებელს მისი ღირებულების კომპენსაციის მიღების უფლება არ გააჩნია. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს აღნიშნული უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში, აუცილებელია კანონის მოთხოვნის დაცვა – დასაჩუქრებული არ უნდა ჩავარდეს დაახლოვებით იგივე მდგომარეობაში, რამაც მჩუქებელს გაუჩინა საჩუქრის უკან მოთხოვნის ფორმალური საფუძველი.⁴⁴ საქმე როცა ეხება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ მჩუქებელს და იმ შემთხვევას თუ დასაჩუქრებული საჩუქრის უკან დაბრუნებით მძიმე სიტუაციაში აღმოჩენას, კანონი ამ შემთხვევაში უპირატესობას დასაჩუქრებულს მიანიჭებს. „საჩუქრის უკან

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001, გვ. 79

გამოთხოვა ჩვეულებრივ, ზნეობრივადაც გაუმართლებელია“. სამართლიანად აღნიშნავს 530-ე მუხლის კომენტარებისას ავტორი.⁴⁵

საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლთან მიმართებით, საკასაციო პალატამ ვერ გაიზიარა მოსარჩელის საკასაციო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს იმ საფუძველით, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ იგი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია, რომ, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სადავო საცხოვრებელ სახლში კასატორს 1968 წლის შემდეგ არ უცხოვრია, ეს ბინა კეთილმოწყობილი არ არის და გაქირავებულიც არ აქვს. ამდენად, ამ სახლის გაჩუქებით იგი არ შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ეს ქონება არც მის საარსებო წყაროს წარმოადგენს, რის გამოც მისი მოთხოვნა, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, მით უფრო, რომ მის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება მეორე საცხოვრებელი სახლი ონის რაიონში.⁴⁶ აღნიშნულ საქმეზე სასამართლო არ მიიჩნია რომ მჩუქებელი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საკასაციო სასამართლომ 2007 წელს ერთ-ერთ საქმეზე მიიჩნია, რომ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რაც ნივთი გააჩუქა. მოცემულ შემთხვევაში არსებობდა გაჩუქებული ნივთი, ხოლო დასაჩუქრებული მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩენილა, ვინაიდან ის არის არასრულწლოვანი და ცხოვრობს თავის მშობლებთან ერთად, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი ბინები და რომლებიც ვალდებული არიან შეუქმნან შვილს საცხოვრებელი პირობები. ჩუქების შემდეგ მჩუქებელი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან მას არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა და ასევე, შრომის უნარის დაქვეითების გამო საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ შეიქმნის. კასატორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მჩუქებლის მდგომარეობა ბინის გაჩუქების შემდეგ არ გაუარესებულა, იგი ომის მონაწილე და ინვალიდი მანამდე იყო, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს. დადგენილია, რომ მჩუქებელი ცხოვრობდა სადავო ბინაში. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, რადგან მისთვის შეუძლებელი გახდა გაჩუქებულ ბინაში ცხოვრება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ბინაში ცხოვრობს დასაჩუქრებულის დედა, მოსარჩელის განქორწინებული მეუღლე, რომელთანაც მოსარჩელეს აქვს დამაბული

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, თბ., 2001, გვ. 79

⁴⁶ ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 190

ურთიერთობა. ამ გარემოებამ აიძულა უარი ეთქვა გაჩუქებულ ბინაში ცხოვრებაზე. დასაჩუქრებულმა ჩუქების ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება მუდმივი საცხოვრებელი მიეცა მჩუქებლისათვის, ის ვალდებული იყო მისთვის შეექმნა ისეთი პირობები, რომლებიც მჩუქებელს ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემდა. მართალია, აღნიშნული არ არის გამოწვეული დასაჩუქრებულის ბრალეული ქმედებით, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი მჩუქებლის მიმე მატერიალური მდგომარეობის შექმნაში არ მოითხოვს დასაჩუქრებულის ბრალის არსებობას.⁴⁷

გამჩუქებელს უფლება არ აქვს, დასაჩუქრებულს უკან მოთხოვოს ნაჩუქარი ნივთი თუ ასეთი საფუძველი თითონ შექმნა ხელოვნურად. კერძოდ მისი მატერიალური მდგომარეობა გამოწვეულია მისი განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით.

გერმანული სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულ საკითხს იდენტურად აწესრიგებს, რამდენადაც მჩუქებელი ჩუქების განხორციელების შემდეგ უუნაროა, ღირსეულ დონეზე ირჩინოს თავი, ან განახორციელოს მასზე კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობა თავისი ნათესავების, მეუღლის, თანაცხოვრების პარტნიორისა თუ ყოფილი თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, დასაჩუქრებულისგან მოითხოვოს საჩუქარის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების თანახმად.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ურთიერთმიმართებას, აღსანიშნავია, რომ სსკ-ს 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობაა ისეთ გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომელთა გათვალისწინება გამორიცხავდა ხელშეკრულების დადებას, შესაბამისად ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სადავო იყოს სსკ-ის 398-ე და 530-ე მუხლების ურთიერთმიმართება. გარემოებები, რომელთა შეცვლაც შესაძლოა, გახდეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი მოწესრიგებულია სპეციალური ნორმებით და ისინი უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძველებია სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებაში.⁴⁸ ამიტომ 398-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება 530-ე მუხლზე.

ზემო აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩუქების გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ დასაჩუქრებულის უმადურობამ, არამედ მჩუქებლის მიმე მატერიალურმა მდგომარეობამაც. როცა მჩუქებელმა ხელშეკრულება დადო მას არანაირი ეკონომიკური პრობლემა არ ჰქონდა, მან ნებაყოფლობით გადასცა ნივთი საკუთრებაში, ხოლო გარკვეული დრის შემდეგ

⁴⁷ ა.ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014, გვ. 191

⁴⁸ ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, თბ., 2007, გვ.116

აღმოჩნა ის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ასეთ დროს მას უფლება აქვს მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს და შეაფასებს მჩუქებლის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი წარმოადგენს უსასყიდლოების საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების შეწყვეტის ერთ-ერთ სახეს.

თავი IV. ჩუქების პროცესუალურ–სამართლებრივი პრობლემები

4.1. სათანადო მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისას

ჩუქების ინსტიტუტი ერთ–ერთი მნიშვნელოვანია საკითხია ცივილურ სამართალში და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჩუქება საინტერესოა როგორც მისი ბუნებიდან და არსიდან გამომდინარე, ასევე იმ პროცესუალურ სამართლებრივი საკითხებიდან გამომდინარე რაც მასთანაა დაკავშირებული. განვიხილოთ ერთერთი ასეთი საკითხი, როგორცაა სათანადო მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების დროს.

სამოქალაქო კოდექსის მუხლი 529–ე, რომელიც ითვალისწინებს ჩუქების გაუქმებას დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ნათლად განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება გამოითხოვოს გაჩუქებული ნივთი, სამოქალაქო კოდექსის ასეთად მხოლოდ მჩუქებელს მოიაზრებს და რაიმე გამონაკლის არ ითვალისწინებს. რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530–ე მუხლის ჩანაწერს ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას, ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ითვალისწინებს გამონაკლისის სახით და მიუთითებს, რომ მჩუქებლის მემკვიდრეს ეკუთვნის ჩუქების გაუქმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებაში.⁴⁹ გერმანული და ქართული სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლების ანალიზისას ნათლად ჩანს რომ ქართული სამოქალაქო კოდექსის განსხვავებით გერმანული კოდექსის უშვებს შესაძლებლობას რომ გაჩუქებული ნივთი გამოითხოვს მჩუქებლის მემკვიდრეებმაც.

განვიხილოთ ერთ–ერთი ასეთი მაგალითი, ვთქვათ ა.ბ. და ა.გ. არიან მეგობრები ა.ბ. მეგობარს აჩუქა აგარაკი, ორი წლის შემდეგ მეგობრებმა იჩხუბეს დასაჩუქრებულმა მჩუქებელს მიაყენა სხეულის დაზიანება, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა. შედეგად ა.ბ. მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ა.გ.–თან დადებული ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა, ვიდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანდა მოსარჩელე გარდაიცვალა ხოლო გაჩუქებული აგარაკი კვლავ დარჩა ა.გ. საკუთრებაში, ამ შემთხვევაში საინტერესოა ა.ბ.–ს შვილი ჩაერთვება თუ არა პროცესში, როგორც მჩუქებლის უფლებამონაცვლედ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაგვჭირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92–ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს

⁴⁹ ი. კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011, გვ. 395

უფლებამონაცვლეობას სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. მხოლოდ ამ მუხლის შინაარსის მიხედვით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის დროს მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის Nას-926-891-2016 საქმეზე რომელიც ეხებოდა უფლებამონაცვლედ ყოფნას აღნიშნა, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობას მატერიალური სამართლის ნორმები განაპირობებენ, რომელთა მიხედვითაც, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს, შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.⁵⁰

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმისწარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ხოლო 272-ე მუხლი „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.⁵¹

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა ნივთის გამჩუქებელს შეუძლია და არა მის მემკვიდრეებს, ამიტომაც მჩუქებლის გარდაცვალების გამო შეწყვიტა საქმისწარმოება.⁵²

განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როდესაც დასაჩუქრებულის დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის გარდაცვალება, აქვს თუ არა ამ შემთხვევაში გარდაცვლილი მჩუქებლის მემკვიდრეებს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება. ზემოაღნიშნულიდანაც გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამგვარ უფლებას მჩუქებლის მემკვიდრეებს არ ანიჭებს და ჩუქების გაუქმების უფლებას პერსონალურად და ცალსახად ანიჭებს გამჩუქებელს. სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროში არ შედის ქონებრივი უფლებები

⁵⁰ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017w-samoqalago-krebuli7.pdf>;

⁵¹ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშივილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, გვ.169

⁵² ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, თბ., 2007, გვ. 121

და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. ამგვარ უფლებად უნდა განვიხილოთ სწორედ გამჩუქებლის მიერ ქონების უკან გამოთხოვის უფლებაც.

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც მჩუქებლის მიერ ნივთის გამოთხოვა ხდება არა პირადი შეურაცხყოფის გამო არამედ, მჩუქებლის და მისი ოჯახის წევრების მძიმე მატერიალური მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, საინტერესოა ასეთ დრო თუ დაუშვებს კანონი უფლებამონაცვლეობას მჩუქებლის გარდაცვალებისას, როდესაც ჩუქების გაუქმების მოთხოვნა ამ საფუძველს ემყარება?

მაგრამ 530-ე მუხლი ასეთ დროს გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის უფლებას მხოლოდ მჩუქებელს ანიჭებს და ამ უფლებას განიხილავს, როგორც პირადი ხასიათის უფლებას, რომელიც სამკვიდროში არ გადადის.

ვფიქრობ, კანონის ამგვარი შეზღუდვა უსამართლოა, ვინაიდან ის მიზანი რისთვისაც სარჩელი შეტანილი იქნა სასამართლოში რომ მჩუქებელს და მის კმაყოფაზე მყოფ პირებს უკან მიეღოთ გაჩუქებული ქონება და გამოსწორებულიყო მათი მდგომარეობა მჩუქებლის გარდაცვალების გამო საქმე წყდება, სარჩელის და ზოგადად ამ 530-ე მუხლის მიზანი, რომ მჩუქებლის ოჯახი არ იყოს მძიმე ეკონომიკურ პირობებში მიულწეველი რჩება.

რაც შეეხება მეორე მხარეს, შესაძლებელია თუ არა, რომ დასაჩუქრებულის მემკვიდრის მიმართ გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვა, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, რაც შეეხება გერმანულ სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლი მიუთითებს, რომ დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ ჩუქების გაუქმება აღარ არის დასაშვები. კარგი იქნება თუ ამგვარი ჩანაწერი ქართულ სამოქალაქო კოდექსშიც გაჩნდება და ზემოაღნიშნულ საკითხს ასე მოაწესრიგებს.

შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თუ კი ჩუქების გაუქმების შესახებ საქმის განხილვის დამთავრებამდე მჩუქებელი გარდაიცვალა საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. ჩუქების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს დასაჩუქრებულის მიმართ და ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსს უნდა დაემატოს ამ პრობლემის მომწესრიგებელი ნორმები როგორც 529-ე მუხლი ასევე 530-ე მუხლი, კერძოდ 529-ე მუხლის მეორე ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ჩუქების გაუქმების და გაჩუქებული ქონების გამოთხოვის უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ან ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში“.

რაც შეეხება 530-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი, კერძოდ „თუ მჩუქებელი შეიტანს სარჩელს სასამართლოში ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, დასაშვებია უფლებამონაცვლეობა“.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მორე მხარეს დგას დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევა და მისი მემკვიდრეები, ცალსახაა რომ 529-ე მუხლის საფუძველზე მხარეები სასამართლომდე ვერ მივა გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის მოტივით, რადგან დასაჩუქრებული ფიზიკურად აღარ არსებობს და ვერც შეურაცხყოფას მიაყენებს დასაჩუქრებულს. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როცა ნივთის გამოთხოვა ხდება მჩუქებლის მიმე მატერიალური მდგომარეობის საფუძვლით და ამ დროს დასაჩუქრებული გარდაიცვლება, შესაძლებელია თუ არა მჩუქებლის მოთხოვნა გადავიდეს მის მემკვიდრეებზე? კონკრეტულ პასუხს ამ კითხვაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მსგავსი მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა მჩუქებელს დასაჩუქრებულის მემკვიდრეების მიმართ, ვინაიდან ჩუქება პირადი ხასიათისაა და სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლზე დაყრდნობით. ამ პრობლემის მარტივად გადასაჭრელად შესაძლებელია რომ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლს დაემატოს მესამე პუნქტი შემდეგი რედაქციით: „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“

საინტერესო იქნება აქვე ამ საკითხის პარალელურად განვიხილოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა საჩუქრის დაპირება როდესაც დაპირებული საჩუქრის გადაცემამდე გარდაიცვლება დამპირებელი. საინტერესოა ასეთ დროს დაპირებული საჩუქრის გადაცემის ვალდებულება თუ წარმოეშობა დამპირებლის მემკვიდრეებს? ვფიქრობ, აქ გასათვალისწინებელია საჩუქრის ხასიათი და იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ კრედიტორებთან აწესრიგებს ურთიერთობას. კერძოდ, თუ დაპირებული საჩუქარი პირადი ხასიათისაა და მისი შესრულება უშუალოდ დაპირებელს შეეძლო ასეთ დროს ჩუქების დაპირება დაკარგავს ძალას, ხოლო როცა დაპირებული საჩუქარი მატერიალური ხასიათისაა მისი გადაცემის ვალდებულება უნდა გადავიდეს დამპირებლის მემკვიდრეებზე, ამაზე 525-ე მუხლი არაფერს ამბობს, მაგრამ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ კანონის ანალოგიით.

საჩუქრის გადაცემის ვალდებულება დამპირებლის გარდაცვალებისას იმიტომ დავუკავშირეთ უფლებამონაცვლეობას მჩუქებლის გარდაცვალებას, რომ საინტერესოა ამ ორი შემთხვევის შედეგი, კერძოდ კანონი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეს არ ძლევს უფლებას

დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, იმ შემთხვევაშიც კი მჩუქებლის სიკვდილი გამოწვეული დასაჩუქრებლის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ხოლო მეორე შემთხვევაში კანონი მემკვიდრეს ავალებს დამპირებლის გარდაცვალების შემდეგ დაპირებული საჩუქარი გადასცეს დაპირებულს.

თავი V. ჩუქების ხელშეკრულების კავშირი სამართლის სხვა ნორმებთან (ინსტიტუტებთან)

5.1. ხანდაზმულობის ვადები და ჩუქების ხელშეკრულების მოშლის სპეციალური ვადა

ხანდაზმულობის ზოგადი და სპეციალური ვადების განხილვა ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ გაჩუქებული ქონების გამოთხოვის ვადებთან მიმართებით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ეხება გაჩუქებული ნივთის გამოთხოვას არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით თუ როდემდე აქვს პირს უფლება უკან გამოითხოვოს გაჩუქებული ნივთი (თუ არ ჩავთვლით სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის ერთ წლიან ვადას).

სსკ-ის 529-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს⁵³.

ხანდაზმულობის საერთო ვადაა ათი წელი, რომელიც დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომლისთვისაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენა კი შესაძლებელია კანონით. ამასთან, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.⁵⁴

მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ ჩუქების გაუქმება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა აპატია დასაჩუქრებულს ან გავიდა ერთი წელი იმ მომენტიდან, როდესაც ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილმა პირმა შეიტყო თვისი უფლების რეალიზაციის წინაპირობების დადგომის შესახებ.⁵⁵

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია, თუ საიდან აითვლება ჩუქების გაუქმების შესახებ მოთხოვნის ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ზოგადად 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის

⁵³ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ. 529, გვ. 15

⁵⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ. 529, გვ. 12

⁵⁵ ი. კროპპოლერი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011, გვ. 395

მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. 130-ე მუხლის თანახმად, ყურადღება ექცევა, როდის შეიტყო პირმა უფლების დარღვევის შესახებ.⁵⁶ „ამ შემთხვევაში არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ უთითებს უფლების დარღვევის შესახებ ცოდნაზე, მაგრამ, ასევე არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ თავისი დაუდევრობის გამო ვერ შეიტყო. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს არ მიუთითებია არც ერთ იმ ფაქტებზე, რომლებიც დაადასტურებდნენ კანონით გათვალისწინებული დროის დადგომას. ამიტომ, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის წარმომადგენლის მითითება ხანდაზმულობაზე არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის შეფასებისათვის.“⁵⁷

ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ ვადასთან გვაქვს საქმე დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით აღსანიშნავია სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი, რომელიც ეხება გაჩუქებული ნივთის გამოთხოვას მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო. ამ მუხლში კანონმდებელი არ განსაზღვრავს თუ რა ვადაში აქვს უფლება მჩუქებელს უკან გამოითხოვოს გაჩუქებული ნივთი. ამგვარი ჩანაწერის არ არსებობის მიუხედავად, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული. ცხადია ეს ასე არ არის.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი ქართული კოდექსისგან განსხვავებით გამორიცხავს საჩუქრის უკან დაბრუნებას თუ მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობის დადგომის მომენტისთვის ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გავიდა 10 წელი. გერმანული

⁵⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ. 529. გვ.13

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის N ას-1509-1517-2011განჩინება

კანონმდებელი გაჩუქებული ნივთის გამოთხოვისთვის განსაზღვრავს სპეციალურ ვადას, ვინაიდან ჩვენ კოდექსში არ არის მითითება სპეციალურ ვადაზე უნდა გამოვიყენოთ ხანდაზმულობის ზოგადი ვადები. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა, 530-ე მუხლში მითითებულ წინაპირობების გარდა, დამატებით შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს და განხორციელებადი იყოს მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში.⁵⁸

ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ხანდაზმულობის ზოგადი 10 წლიანი ვადა და ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს დასაჩუქრებულისთვის ქონების გადაცემის მომენტიდან. მაგრამ შესაძლოა ასევე ვიხელმძღვანელოთ 129-ე მუხლით დადგენილი ვადებით, მოძრავ ნივთებთან მიმართებით სამი წელი, ხოლო უძრავ ნივთებთან მიმართებით 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადით. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსით გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის მიმართ ხანდაზმულობის რაიმე სპეციალური ვადა არაა დაწესებული, ამიტომაც ამ შემთხვევაში მოქმედებს კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადები (უძრავ ნივთებთან ექვს წლიანი, ხოლო მოძრავ ნივთებთან 3 წლიანი ვადა).⁵⁹

ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს პრობლემას, როდესაც ვსაუბრობთ გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობაზე, რომელი მუხლით უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ საერთო 10 წლიანი ვადით თუ 129-ე მუხლით გათვალისწინებული ვადებით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია 530-ე მუხლში მიეთითოს კონკრეტული ვადა, მაგალითად ისევე როგორც ამას გერმანული სამოქალაქო კოდექსი აკეთებს 10 წლიან სპეციალურ ვადაზე მითითებით. კიდევ ერთი პრობლემა ამ საკითხთან მიმართებით შეიძლება იყო ის, თუ როდიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის ათვლა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი რაიმე დათქმას ხანდაზმულობის ვადის დაწყების შესახებ არ აკეთებს. მხოლოდ მიუთითებს ნივთის ფიზიკურ არსებობაზე, რაც ვთვლი რომ საკმარისი არ არის ხანდაზმულობის ვადის დასაწყებად, აქაც გვიწევს ანალოგიის გამოყენება და ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტი.

⁵⁸ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, მ. 530, გვ.6

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის Nას-581-808-08 განჩინება

5.2. საკუთრების ხელშეუვალი უფლება და გაჩუქებული ქონების გამოთხოვა

საკუთრების უფლება ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს. მაკიაველი საკუთრების უფლებას სიცოცხლის უფლებაზე მაღლაც აყენებდა. “მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თუკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან”.⁶⁰

საკუთრების უფლებასთან მიმართებით ამგვარი ჩანაწერი კიდევ ერთხელ მიანიშნებს თუ როგორი იყო საკუთრების უფლების გაგება.

საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე–19 მუხლით, და ასევე კონსტიტუცია ითვალისწინებს თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი საკუთრების უფლების შეზღუდვა, ამ ჩანაწერის მიხედვით, საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.⁶¹ საკუთრების უფლების დაცვა უზრუნველყოფილია არამხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციით არამედ საერთაშორისო შეთანხმებებით და აქტებით.

საინტერესოა განვიხილოთ და შევავასოთ კონსტიტუციის ეს მუხლი სამოქალაქო კოდექსის 529–ე მუხლთან მიმართებით.

როგორც ვიცით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვის ფაქტი ხშირად საკუთრების უფლების შელახვის მომენტად აღიქმება, რაც არ უნდა იყოს მართებული. საკამათოა ჩუქების გაუქმება კონსტიტუციის 19–ე მუხლთან. აღნიშნული ნორმის როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი მართლზომიერება სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დასტურდება. 2001 წლის 26 მარტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოქალაქე აკაკი საღირაშვილმა, რომელიც უთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529–ე მუხლი, „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“, არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს

⁶⁰ მაკიაველი, ნ. მთავარი“ გვ. 181

⁶¹ საქართველოს კონსტიტუციისა, 1995, მ.19

კონსტიტუციის 21-ე მუხლს. მოსარჩელის აზრით, ნაჩუქრობის გზით დასაჩუქრებული ხდება ნაჩუქარი ქონების მესაკუთრე, რითაც მხარეებს შორის ურთიერთობა მთავრდება.⁶²

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა აკაკი საღირაშვილის სარჩელი და იგი არ დააკმაყოფილა სხვადასხვა პრინციპული გარემოებების გამო. ამ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა სამართლის ზნეობრივი ფუნქციის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის სადავო ნორმა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ხელშეკრულების მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც ზნეობრივ სამირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გამოვლინებას. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მომენტის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გადაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს“.⁶³ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულება ის არის, რომ ზნეობრივ სამირკველზე აღმოცენებულ-დაფუძნებული უფლებები, მათი წარმოშობის შემდეგაც თვდაპირველ წყაროსთან არის მიბმული. აქ არ გვაქვს ის ტრადიციული შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საფუძველზე გაჩენილ საკუთრებას აღარაფერი აკავშირებს ამ ხელშეკრულებასთან. ზნეობრივ იმპერატივებზე აგებული საკუთრება მისი „გამჩენის“ კონტროლის ქვეშ რჩება. სასამართლომ ამ ფონზე სრულიად ახლებური მიდგომა დააფიქსირა ვალდებულებითი და სანივთო უფლებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეს იმაში, რომ თითქოს სანივთო უფლებებზე არ შეიძლება გავლენას ახდენდეს ვალდებულებითი, იგივე შეფარდებითი უფლებები. საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასაწევი საფუძველით შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ახალი საკუთრების შემდგომი სამართლებრივი კავშირ-ურთიერთობა მისი წარმოშობის წყაროსთან. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნაჩუქრობასთან. ეს

⁶² საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/2/155 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 04 01

⁶³ იქვე

ვალდებულება 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს და გარდა საზოგადო ხასიათისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება სადავო მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა.⁶⁴

უსასყიდლოდ შეძენილი უფლებები ვერ გამოირჩევიან ისეთი სიმტკიცით, როგორც ეს ახასიათებს ეკვივალენტური ურთიერთობის გზით წარმოშობილ უფლებებს. „მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც საკუთრების უფლება, როგორც წესი, სახეზეა ყველა მისი ნიშან-თვისებით, ზოგჯერ იგი ნაკლები მოულოდნელობითა და სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე ამას ადგილი აქვს საკუთრების სასყიდლიანი გზით შეძენისას „ჩუქების ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობა დამთავრებული რომ ყოფილიყო, მაშინ არც ჩუქების გაუქმებაზე იქნებოდა საუბარი, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს“, „თუ ჩუქება გაუქმდება“, ვინაიდან შეუძლებელია გაუქმდეს ის, რაც არ არსებობს. საჩუქრის დაბრუნება სწორედ რომ ნაჩუქრობის გაუქმების შედეგია. 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“. აქედან ჩანს, რომ ნაჩუქარზე საკუთრების უფლების შეწყვეტა ჩუქების გაუქმებას მოსდევს და ნაჩუქრობის სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის დამახასიათებელი მოვლენაა“.⁶⁵

ამ გადაწყვეტილებიდან გამოჩნდა, რომ საკუთრების უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება აღემატებოდეს საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს.

ფაქტია, დასაჩუქრებულს არავინ არ ავალდებულებს რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელებას, რაც მისი მხრიდან სამაგიერო შესრულებას შეიძლება ჩაითვალოს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებას ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს“.⁶⁶ ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილების ანალიზი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვა და საკუთრების უფლების შეზღუდვა, ეს განპირობებულია ბევრი ფაქტორით, ის რომ სამართალი ემყარება ზნეობის ნორმებს, ის რომ ჩუქება უსასყიდლო ხასიათისაა მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის ჩუქების

⁶⁴ საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/2/155 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 04 01

⁶⁵ იქვე

⁶⁶ იქვე

ხელშეკრულების დადებით არ წყდება ურთიერთობა და ეს დასაჩუქრებულისთვის თავიდანვე ცნობილია.

თავი VI. კვლევის შედეგები

წინამდებარე ნაშრომში, ჩუქების სამართლებრივ ბუნების კვლევისთვის განხორციელდა გერმანული სამოქალაქო სამართლის ანალიზი და შევადარეთ ის ქართულ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას. ქართული და გერმანული კოდექსების შედარებისას ჩუქების ტერმინის განსაზღვრის ნაწილში ჩამოვყალიბეთ, რომ ჩუქება არის ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის დასაჩუქრებული თანხმობის შემდეგ და მისი ძირითადი მახასიათებელი უსასყიდლო ბუნებაა.

ჩუქების ხელშეკრულების დადებისას დიდ როლს თამაშობს მისთვის განსაზღვრული ფორმის დაცვა, ისევე როგორც ჩუქების დაპირებისას. ნორმატიული ბაზის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ისე წერილობითი ფორმით, კონკრეტულ ქონების გაჩუქებისას მოქმედებს კანონის მიერ განსაზღვრული ქონებაზე საკუთრების წარმოშობის წესი. საჩუქრის დაპირებისთვის კი სპეციალურ წერილობით ფორმა, სანოტარო წესით დამოწმებული და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარმოშობს ის ჩუქების ვალდებულების წარმოშობას. ჩუქების ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები განსაზღვრისას უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი, რომელიც ეხება ფორმადაუცველ ხელშეკრულებას და მის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

კანონის აკრძალვიდან, გამომდინარე პირმა არ გააჩუქოს ერთადერთი ქონება ლოგიკურად დავუკავშირეთ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, აღნიშნული საკითხების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გათვალისწინებული ჩუქების აკრძალვა საკუთრების განკარგვის და ხელშეკრულების დადების თავისუფლება იზღუდება, ასეთ შემთხვევაში კანონმა შეუძლებელია პირი დაიცვას საკუთარი ქმედებისგან, მაგრამ შესაძლებელია დაიცვას მჩუქებლის კმაყოფაზე პირები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლიდან გამომდინარე, იზღუდება როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, ისე ნების ავტონომიურობის პრინციპი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თუ ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს ან ზნეობრივ ნორმებს, მისი დადების აკრძალვის საფუძველი არ უნდა იყოს ურთიერთმოვალეობათა ბალანსის დარღვევა, ერთ-ერთი მხარის არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენა და სხვა მსგავსი ფაქტორები. ეს აიხსნება იმ გარემოებებით, რომ ხელშეკრულების

დადებამდე ორივე მხარეს ჰქონდა მოფიქრების და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების სწორდა მიღების შესაძლებლობა.

ჩუქების გაუქმებისას მოსამართლის პრეროგატივად რჩება საკითხი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს რა ჩაითვლება გამჩუქებლის მძიმე შეურაცხყოფად, ვინაიდან კანონი რაიმე დათქმას ამის შესახებ არ აკეთებს. კვლევისას ცალსახად გამოიკვეთა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა არსად არის განმარტებული თუ რა იგულისხმება მძიმე შეურაცხყოფასა და დიდ უმადურობაში, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას მივედით დასკვნამდე, რომ სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტავს ტერმინის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ჩუქების გაუქმებას ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა არ იწვევს, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ ზიანს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს. ამ დასკვნის გამოსატანად საკმარისია იმის ანალიზი, რომ გამჩუქებელსა და მჩუქებელს შორის აღარ არსებობს კეთილგანწყობლი ურთიერთობა, რაც დასაჩუქრებულის უმადურობით არის გამოწვეული და მათ შორის თითქოს ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს ჩუქების მოშლა.

ჩუქების პროცესუალური სამართლებრივი პრობლემების კვლევისას გამოიკვეთა, რომ თუ კი ჩუქების გაუქმების შესახებ საქმის განხილვის დამთავრებამდე თუ მჩუქებელი გარდაიცვალა საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. ჩუქების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს დასაჩუქრებულის მიმართ და ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. საპროცესო უფლებამონაცვლეობას მატერიალური სამართლის ნორმები განაპირობებენ, რომელთა მიხედვითაც, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს, შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

გერმანული და ქართული სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლების შედარებისას ნათლად ჩანს რომ ქართული სამოქალაქო კოდექსის განსხვავებით გერმანული კოდექსის უშვებს შესაძლებლობას რომ გაჩუქებული ნივთი გამოითხოვს მჩუქებლის მემკვიდრეებმაც იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებაში. რაც შეეხება საჩუქრის დაპირებას თუ დაპირებული საჩუქარი პირადი ხასიათისაა და მისი შესრულება უშუალოდ დაპირებულს შეეძლო ასეთ დროს ჩუქების დაპირება დაკარგავს ძალას, ხოლო როცა დაპირებული საჩუქარი მატერიალური ხასიათისაა მისი გადაცემის ვალდებულება უნდა გადავიდეს დამპირებლის

მემკვიდრეებზე, ამაზე 525-ე მუხლი არაფერს ამბობს, მაგრამ სავარაუდოა რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ კანონის ანალოგიით.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადების და ნივთის უკან დაბრუნების ვადას, სპეცილური ვადების არ არსებობის გამო უნდა გამოვიყენოთ 129-ე მუხლით დადგენილი ვადები, მოძრავ ნივთებთან მიმართებით სამი წელი, ხოლო უძრავ ნივთებთან მიმართებით 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადით. ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დაწყების შესახებ არ აკეთებს. მხოლოდ ნივთის ფიზიკურ არსებობაზე მიუთითებს, რაც საკმარისი არ არის ხანდაზმულობის ვადის დასაწყებად ამ შემთხვევაში ჩნდება ანალოგიის გამოყენების აუცილებლობა.

გამუჩქებლის მიერ ქონების გამოთხოვისა და კონსტიტუციის მე-19 მუხლის ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ანალიზი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვა და საკუთრების უფლების შეზღუდვა, ეს განპირობებულია ბევრი ფაქტორით, ის რომ სამართალი ემყარება ზნეობის ნორმებს, ის რომ ჩუქება უსასყიდლო ხასიათისაა მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის ჩუქების ხელშეკრულების დადებით არ წყდება ურთიერთობა და ეს დასაჩუქრებულისთვის თავიდანვე ცნობილია.

დასკვნა

სადავო არ არის საკითხი იმის შესახებ, რომ ჩუქება ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, რომელიც ძალაში შედის დასაჩუქრებულის თანხმობის შემდეგ, მისი ძირითადი მახასიათებელი უსასყიდლო ბუნებაა. ჩუქება, საკუთრების უფლების მოპოვების სხვა ფორმებისგან განსხვავებით მერყევი ინსტიტუტია, ვინაიდან მას უკავშირდება ჩუქების გაუქმება სხვადასხვა საფუძვლით, როგორცაა ჩუქების გაუქმება მჩუქებლის მიმღე შეურაცხყოფით და მჩუქებლის მიმღე მატერიალურ მდგომარეობით. აღნიშნულ საკითხებს უკავშირდება ის პრობლემები, რაც ნაშრომში არის გაანალიზებული, შესწავლილი და მათ გადასაჭრელად ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები.

სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი აწესებს შეზღუდვას მჩუქებელზე კერძოდ, პირმა არ უნდა გააჩუქოს ქონება თუ ამ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. ამგვარი აკრძალვით იზღუდება საკუთრების განკარგვის და ხელშეკრულების დადების თავისუფლება. შეუძლებელია კანონმა პირი დაიცვას საკუთარი ქმედებისგან, მაგრამ შესაძლებელია კანონმა დაიცვას მჩუქებლის კმაყოფაზე მყოფი პირები, მაშინ შესაძლებელია 526-ე მუხლის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პირს არ აქვს უფლება გააჩუქოს ქონება, თუ ის საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებს“.

პრობლემატურია საკითხი, თუ რა ჩაითვლება დიდ უმადურობად და მიმღე შეურაცხყოფად, აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს და აფასებს ფაქტებს. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ჩუქების გაუქმების საფუძველი არის დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს.

მნიშვნელოვანია ჩუქების საკითხი საპროცესო ნორმებთან მიმართებით, კერძოდ თუკი ჩუქების გაუქმების შესახებ საქმის განხილვის დამთავრებამდე მჩუქებელი გარდაიცვალა საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა. ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს დასაჩუქრებულის მიმართ და ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. აღნიშნული ხარვეზის გადასაწყვეტად სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მეორე ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჩუქების გაუქმების და გაჩუქებული ქონების გამოთხოვის უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ან ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში. რაც შეეხება სსკ-ის 530-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი: „თუ მჩუქებელი შეიტანს

სარჩელს სასამართლოში ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, დასაშვებია უფლებამონაცვლეობა“.

სადავოა საკითხი გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის ვადებზე თუ რომელი მუხლით უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ, საერთო 10 წლიანი ვადით თუ 129-ე მუხლით გათვალისწინებული ვადებით. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია 530-ე მუხლში მიეთითოს კონკრეტული ვადა, ისევე როგორც ამას გერმანული სამოქალაქო კოდექსი აკეთებს და უთითებს ხანდაზმულობის 10 წლინ ვადაზე. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტი უნდა ჩაითვალოს.

ვფიქრობ, ნაშრომში ჩამოყალიბებული მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები და დასკვნები ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო ნორმებთან მის ჰარმონიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“ თბ., 1999;
2. დანელია ე., „გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე“ თბ., 2007;
3. ზოიძე ბ., „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“, თბ., 2007;
4. კროპპოლერი ი., „გერმნულის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2011;
5. მეტრეველი გ., „ჩუქების შემზღვეველი ერთი სამართლებრივი ნორმის რეგულირებისთვის“ თბ., 2013;
6. ნაჭებია ა., „სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბ., 2014;
7. ნინუა ე., „უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობა ჩუქებით“ მართლმსაჯულება N2, 2008;
8. ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითები, თბ., 2007;
9. ძლიერიშვილი ზ., „ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება“ თბ., 2004;
10. ძლიერიშვილი ზ., „ჩუქება და სამისდღემო რჩენა: თეორია და პრაქტიკა“ თბ., 2018;
11. ძლიერიშვილი ზ., „ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები“ თბ., 2017; სამართლის ჟურნალი N1;
12. ძლიერიშვილი ზ., „ჩუქების ხელშეკრულების გაქმება დასაჩუქებულის უმადურობის გამო“
13. ქურდაძე შ., ხუნაშივილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ თბ., 2012;
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, თბ., 2001;
15. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007;
17. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე, თბ., 2017;

უცხოური ლიტერატურა:

19. Larenz, Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9.Aufl., 2004 O'Mahony P., Criminal Justice in Ireland, Dublin Inst. of Public Administration, 2002;
20. Zimmermann R., The Law of Obligations – Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996;
21. Гранжданское и торговое право зарубежных государств, москва, 2004;
22. U. Markesines, The German Law of Contract, Germany, 2006;

სასამართლო პრაქტიკა:

23. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება , Nას–659–881–08 (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2008 წლის 13 10).
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე Nას–826–775–2010;
25. საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/2/155 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 04 01);
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის Nას–1509–1517–2011 განჩინება;
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის Nას–581–808–08 განჩინება;

ნორმატიული აქტები:

28. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;
30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997;
31. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1896;

ვებ-გვერდები:

32. <https://elawjournal.wordpress.com/2012/01/21/%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/>
33. <https://elawjournal.wordpress.com/2012/01/21/%e1%83%a9%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a9%e1%83%a3%e1%83%a0/>
34. <https://elawjournal.wordpress.com/2011/11/21/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA/>
35. <http://thelowjournal.blogspot.com/2012/11/the-law.html>
36. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=148>
37. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017w-samoqalaqo-krebuli7.pdf>
38. <http://legalclinic.iliauni.edu.ge/sakanonmdeblo-regulireba-da-sasamarthlo-praqtika/>
39. <http://www.gccc.ge/>